გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!
გაუმარჯოს საქართველოს
დემოკრატიულ რესპუბლიკას!

გაუმარჯოს თავისუფლ ხელოვნებას
თავისუფალ საქართველოში!

„თეატრი და ცხოვრება"

წლიურად 15 მან., ნახევარი წლით 9 მან. თითო ნომერი—1 მან. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში, ბაზრის ქ. № 20, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. თბილისი, რედ. „თეატრი და ცხოვრება" იოსებ იმედაშვილს.

1918 წ. № 13 კვირა, ენკენისთვის 22 ფასი 1 მან. წელიწადი მეექვსე გამოცემის

ივ. პეტ. სარაჯიშვილი

ოპერო მომღერალი. ამ ჟამად მძიმე ავადმყოფია ფილტვებისა და გულის ანთებით.

იაკობ ნიკოლაძე

მოქანდაკე, რომელმაც შეადგინა საქართველოს ეროვ
ნული დროშის გეგმა. ეს გეგმა ეროვნ. საბჭომ დაამტკიცა

თბილისის უნივერსიტეტის
და
თეატრის სასარგებლოდ

პირველი

ქართული
ლატარია

5,000,000 მანათისა

ბილეთი ღირს 25 მან.
კუპონი (მეხუთედი) 5 მან.



[იხილეთ მეორე გვერდი]

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ ო წ ო დ ე ბ ა.

საქართველომ დაიწყო თავისი სახემწიფოებრივი ცხოვრება. სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მისი მთავრობა ღირსეულად თავს გაართმევს ათას საჭირბოროტო საკითხებს, მაგრამ უმთავრესი მაინც თვით ხალხის დახმარებაა, მისი ნდობა, მის მიერ მხარის დაჭერა.

ბევრ სხვათა შორის საქართველოს უმთავრესად საზრუნი აქვს მეცნიერებასა და ხელოვნებაზე, ამ ორ ბურჯზე, რომელზედაც დაყრდნობილია კულტურული ერის, სახემწიფოს ცხოვრება. ჩვენა გვაქვს უკვე ქართული უნივერსიტეტი, გვაქვს ქართული თეატრი, მათ შესახებ ზრუნავს მთავრობაც, მაგრამ ამ საქმეშიაც ხალხმა, ერმა თუ არ მიაწოდა თავისი წვლილი ამ ფრიად საჭირო დაწესებულებას, ორივეს საქმე დიდათ შეფერხდება.

ამ ჟამად განზრახულია, რომ ორივ საქმისათვის მოწყობილ იქმნას მომგებიანი ხუთი მილიონის ლატარია, რომლის წმინდა შემოსავალიც მოხმარდება აღნიშნულ დაწესებულებათა აღორძინებას და სახელდობრ: ქართულ უნივერსიტეტს ნახევარი წმინდა მოგებისა ჩაერიცხება ხელუხლებელ თანხათ, ნახევარიც გადადებულ იქნება ქართულ თეატრის ღირსეულ შენობის ასაგებად და 5 პროცენტი წმინდა მოგებისა გადაიდება ქართველ მსახიობთა კავშირისათვის.

როგორც ხედავთ მიზანი ფრიად საჭ რო, და ხელ შესაწყობ ა. მხოლოდ საჭიროა რომ მთელი ქართველობა გამოეხმაუროს ამ საქმეს, შეიძინოს ლატარიის ბილეთები და ამითი შემოკრბეს განზრახული თანხა—ხუთი მილიონი.

ესეთი დიდი თანხის შემოკრება კ არც ისე გაძნელდება, უკეთუ როგორც კერძო პიროვნებანი, ისე სხვა და სხვა დაწესებულებ ნი — ბანკები, კოოპერატივები და სხვ. - ენერგიულათ მოჰკიდებენ ხელს ბილეთების გასაღებას. თვით ლატარიის პირობები იხ. აქვე ქვემოდ

ამ გვარად მოუწოდებთ ყველა, ვინ სთვისაც ძვირფასია ქართული უნივერსიტეტი და თეატრი, შეძინონ ლატარიის ბილეთები და ამითი ხელი შეუწყოს ესეთ კულტურულ საქმეების აღორძინებას.

ლატარიის საბჭოს თავმჯდომარე—დეკანი ქართულ უნივერსიტეტისა პროფესორი **ივ. ჯავახიშვილი.**

საბჭოს წევრნი:

ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი **ე. თაყაიშვილი.** ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი **ი. ბერათაშვილი.** ამიერ-კავკასიის ბანკის თავმჯდომარე **ი. ლორთქიფანიძე.** სამეურნეო ბანკის თავმჯდომარე **ვასილ ყიფიანი.** დრამატიულ საზოგადოების გამგეობის თავჯდომარის ამხანაგი **ნიკ. ერისთავი** ბელეტრისტი **არისტო ჭუმბაძე.** დამსახურებული მსახიობი **ვალერიან გუნია.** რეჟისორი **ვალერიან შალიკაშვილი.**

ლატარიის გამგეობის თავმჯდომარე განათლების მინისტრი **გიორგი ლასხიშვილი.**

გამგეობის წევრნი: ეროვნულ საბჭოს წევრი **პეტრე ქავთარაძე,** მსახიობთა კავშირის თავმჯდომარე **შალვა დადიანი.**

გამგე-დირექტორი **სოლომონ ახვლედიანი.**

ბილეთების შეძენა შეიძლება: **ქ. თბილისს** ბანკებში, კავშირებში და კლუბებში. **პროვინციაში** ყველგან საკრედიტო დაწესებულებაში და კოოპერატივებში. მისამართი: ქ. თბილისი ბოლოვინის პროსპექტი, №34 **ლატარიის გამგეობას.**

გ ა მ ო ვ ი დ ა დ ა ი ყ ი დ ე ბ ა

პირველი ქართული ლ ტარიის 5.000,000 მან.

ბ ი ლ ე თ ე ბ ი

რომლის წმინდა შემოსავალიც გადადებულია ქართულ უნივერსიტეტისა და თეატრისთვის.

პ ი რ ო ბ ე ბ ი:

1, გამოცემულია ორასი ათასი ბილეთი, ხუთი მილიონი მან. ღირებულობისა, ოთხას სერიად. ყოველ სერიაში ხუთასი ბილეთია. თითო ბილეთში ხუთი კუპონია. ბილეთი ოცდახუთი მან. ღირს. კუპონი ხუთი მან.

2. მოგების დასაფარავად გადადებულია ნახევარი მილიონი მანეთი, და მოგებათა რაოდენობა ნაწილდება ამ გვარად:

1	მოგება	100.000 მან.	100.000 მან.
1	,,	50.000 ,,	50.000 ,,
1	,,	25.000 ,,	25.000 ,,
2	,,	10.000 ,,	200.00 ,,
3	,,	5.000 ,,	15.000 ,,
5	,,	1.000 ,,	5.000 ,,
50	,,	500 ,,	25.000 ,,
180	,,	250 ,,	45.000 ,,
2150	,,	100 ,,	215.000 ,,

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ბილეთის ან კუპონის პატრონი ის არის, ვისაც ბილეთი ან კუპონი ხელთ აქვს. არავითარი განცხადება ბილეთის ან კუპონის დაკარგვის შესახებ შეწყნარებული არ იქნება.

4. ლატარია გათამაშებული იქნება 25 დეკემბერს 1918 წ. და დაესწრებიან წარმომადგენელნი: საქართველოს ეროვნული საბჭოსი, ამიერ-კავკასიის ბანკებისა ლატარიის მომწყობი საბჭო და გამგეობა.

5. მოგების ნუსხა გამოცხადებული სქნება გაზეთებში. ამის შემ ეგ მოგების მისაღებად უნდა წარმოადგინონ ამიერ-კავკასიის ბანკში, თბილისში, თავიანთი ბილეთები ან კუპონები მეპატრონეებმ; ხვედრ მოგებას მიიღებენ არა უგვიანეს 30 დღისა.

6. ვინც მოგების ნუსხის გამოცხადების დღიდან ერთი წლის განმავლობაში არ წარმოადგენს თავის მომგებიან ბილეთს ან კუპონს, მისი ხვედრი მოგება შემოწირულებად ჩაითვლება.

ბილეთები იყიდება თბილისში: ამიერ კავკასიის ბანკში, სასდგილ მამულობასანკში, ვ. ლგა კამის ბანკში ლორის შელიქოვის ქ., სამეურნეო ბანკში—სასახლის ქ. კოოპ "მეურნე", "ეუ ბუშკინის ბულვარ, ძველ სემენარიის შენობაში, კომერსანტ ს მაღაზიაში გოლოვინის ბრ. №10. ქართულ კლუბში, მეორე ქართულ კლუბში. წერა-კითხვის კანტორაში. უველა ქართულ რედაქციებში; კიკინაძ ს წიგნის მაღაზიაში: ათ-თა ქებში—ახვლედიანისა, რეუტოვისა, და ქალაქისა "ბლან ნ ურ ში გოლოვ. №10 "კახეთის" და "საქართველოს" კანტორებში. "ძმურ ნუგეშში "ქართლის" და "იმედი" ს რესტორანებში.

ბრიგინტიის მისამართი ცალკე იქნება გამოცხადებული.

გაფრთხილება მეიდგელთ: ნაყიდ ბილეთებს არავერი არ უნდა ჩამოაკლოს! ეოველ ცნობებისა და საქმისათვის უნდა მიმართონ ლატარიის გამგე დირექტორს სოლომონ ახვლედიანს

ლატარიის გამგეობა იმეოფება გოლოვინის ბრ. №24 დილა დილის 10—3 — მდე. ტელეფონი №8 — 28, ან 6—40. საღამოს ტელეფონი—15 — 17. დრეებით კანტორა სასახლის ქუჩაზე, № 5

სამწერლო ფონდი

ის, ვინც სამშობლოს თავისუფლ ია და მონობიდან ხალხის განთავისუფლების ქურას აგიზგიზებდა, ვინც ერს გრძნობა-გონებას უწრთვიდა, ვინც იერიქონის საყვირით ძილში მყოფთ აღვიძებდა, ვინც ძმობა-ერთობისა და სიყვარულის მოციქული იყო. ხელოვნებისა და მშვენიერ ბის უანგარო ქურუმი, დღეს ყველაზე მეტად იგია დასჯილი, თითქმის არარად მიჩნეული.

მე მოგახსენებთ ხელოვან მწერლებზე, თვით შემომქმედ ერის ქურუმ-ალმზრდელებზე.

წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო, რომ უთქვამთ მათზეა ნათქვამი.

იქნება ყოველი ჯურის ნაწერი წაინაშოს, წმინდა ხელოვნურ-მხატვრული ნაწარმოები-კი კაცობრიობას მუდამ სარკ დ და ხატად ექნება თვალწინ.

და, აი, მწერლობის ასეთი დარგის ქურუმნი დღეს სადღაც მ კუნჩხულნი არიან, ანუ კერძო სამსახურში ჩამრჩვალნი,

ვ. ბარნოვის, ს. მგალობლიშვილის, მელანიას, ლალიონის, ბაჩანასი, თ. რაზიკიშვილის და სხ. მათ მსგავს მწერალთა ნაწერები დღესაც გამოუცემელია, თითოსი თითეული ნაწერი თუა დაბეჭდილი, ისიც ცოდო-მადლით.

დადგება დრო, როდესაც ჩვენი საზოგადოებრიობის მკვლევარი მხოლოდ კრიტიკა-პუბლიცისტიკით კი არ დაკმაყოფილდება, არამედ იგი უმსავრეს დ მოითხოვს დ შეისწავლის მხატვრულ ნაწარმოებს, ბელეტრისტიკას.

და იმის მაგიერ, რომ ამ დარგის მწერალთ ფრთებს უვითარებდეთ, მათს წინსვლას ხელს უწყობდეთ, თითქმის არც კი რადმე ვრაცხვეთ.

ჩვენი უნიჭიერესი ბელეტრისტი ვ. ბარნოვი, რომელსაც ორმოცდათამდე თვალსაჩინო ნაწარმოები აქვს (8-10 ტომამდე) ბ თითოეული მისი მ ბმონაქმედი ჩვენის მწერლობის მარგალიტია, აი ეს მწერალი, დიდი ოჯახის პატრონი და მრავალი გაკვეთილ თ დატვირთული (მასწავლებელია) სურსათ-სანოვაგის მწკრივებში ჰკარგავს ერისთვის უძვირფასეს დროსა... არა ერთგზის შენიშვავთ მას სასურსათო სავაჭროების წინ თვისი ბიბლიურ-მოციქულებრივ ს სახით, ჭაღარა შერთულს, გადალასლასებულს... (სწორედ ასე ვნახეთ გასულ კვირაში საპნის მწკრივში). იგ ჯერ კიდევ შუახნის კაცია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბევრი რამ კარგის შექმნა შეუძლიან, ოღონდ მდგომარეობა შეუმსუბუქოთ: საჭ როა განსაზღვრული თვიური ჯილდო დაენიშნოს, რათა საშუალება მიეცეს განსაკუთრებით მწერლობას შეუდგეს; გარდა ამისა, საჭიროა მისი ნაწერები გამოიცეს...

თითქმის ასეთსავე მდგომარეობაში იმყოფებიან მისი თანამედროვე-თანამეკალმენი ს. მგალობლიშვილი, მელანია, ლალიონი, ბაჩანა თ. რაზიკაშვილი... თითოეული მათგანი დღიურ ცხოვრების ზრუნვაშია გართული, ახალის შესაქმნელად, ალბად გულგატეხილობის გამო, თითქო არ ფიქრობენ,—რაო, რაც დავსწერეთ ისინიც სადღაც ჟურნალ-გაზეთებშია გაბნეული და ახალი რიღასთვის ვსწეროთო.

ასეთივეა ბედი ახალგაზდა მწერლებისა.

დ დი რამ არის წახალისება თანაგრძნობა: ამას შეუძლიან არარაისგან რაღაც შექმნას, ხოლო ნიჭიერთ ფრთები შეუსხას...

თუ ჩვენს მწერალთა კავშირს, საგამომცემლო, სიტყვა კაზმულ. საგანმანათლებლო, წ. კ. ს.-და სხ. დღემდე ვერ მოხუერხებიათ სამწერლო ფონდის შექმნა, ნიჭიერ მწერალთა დახმარება, თვით ჩვენმა მთავრობამ უნდა შექმნას საგანგებო ფონდი ასეთ მწერალთა თვის, უზრუნველჰყოს ის მოღვაწე-ქურუმნი, როშელნიც სამშობლოისა და ერის ამაღლებისთვის, მშობლიურ ენის გაფაქიზება გაძლიერებისათვის მიუკერძეველად, ჩუმად ფიქრობდენ, აზროვნობდენ და მოღვაწეობდენ...

რასაკვირველია, მთავრობას მხარში უნდა ამოუდგეს კერძო თანანობა, რომელიც ჩვენს ნიჭიერ-დამსახურებულ მწერალთა შემონაქმედთ გამოაძზეურებს ავტორთათვის შესაფერი ჯილდოს გადახდით... ამითი ორს დიდს საქმეს გვაკეთებთ: ნამაგდარ კაცთა შრომას ფასს დავსდებთ და გაველურებულ მდგომარეობაში ჩაფალულ ერს სულის განმასპეტაკებელ საზრდოს მივაწოდებთ.

იოსებ არიმათიელი.

თავის თავის მცრეგა

(ჩემი სახალხო საუბრებიდან)

—გამარჯობა ხალხო! რა გულსელი დაგიკრეპნიათ და თავპირი ჩამოგტარეთ, თითქო სახლში მიცვალებული გესვენოთ! ხომ ხედავთ, თქვენიკის წითელი მზე აღმოსრწყნდა... გათბით, წელში გაიშალენით.

—აი, ასეთი „წითელი მზე“ ნუ მოეშლება ჩვენს ავადმახსენებელს, ქვეყნის მტერსა და ორგულს!. სადაური წითელი მზეა, შენი ჭირიმე, საცმელი არა გვაქვს, საჭმელი, შიშით გარედ ვერ გავსულვართ, მეზობელი მეზობლით ვეღარ გამართულა მტერი ვერ გვიცვნია და მოყვარე...

— აი გიშველა ღმერთმა, ჩემო გიო: შენვე სთქვი, წითელი მზე რატო არ გვათბობს... შე დალოცვილო, თუ კი იცი, მტერმოყვარენი გვახვევიან, რატო ცნობა-კი ვერ მოგიხერხებია,—განა შავსა და თეთრს ვერ გაარჩევ?!

—ჰაი, ჰაი, რომ გავარჩევ, მაგრამ რომ აღარ მაცლიან. ყველა იძახის: მე ვარ შენი მოყვარეო და მოყვარე კი ვეღარ დავინახე... ე კამისრებსა და მილიციონერებს იტყვიდა—აბა, როგორ ვსთქვა, ყურს კი არავინ გვიგდებდეს, ი წმიდი გიორგის მადლი ნუ გამიწყრება, ზოგჯერ ი სულწაწყმედილი ძველი სუდია-მამასახლისგზირი მოგვნატრებია... რას დაუწუნებდით იმათ, ძველ დროს, რომ ამ ახალი დროის ბატონებს ერთი ათად არა ჰქონდეთ... წინანდელი თუ რამეს დააშავებდა, უფროსთან უჩივლებდით მაინც, ზაკონის კანონზე გაარჩევდა, საქმეს, ახლანდელს-კი თუ ბიჭი ხარ და ეტყვი რამეს,—სადმე ერთ ტყვიას დაგახლის და წადი საიქიოს ირიკავე

—მაშ ჩვენი ქვეყანა სულ უპატრონო გგონიათ, ჰა გიო? ვსთქვათ აქაურმა კომისარმა დაგიშავა-რამ, რაიონის კომისართან უჩივლე, მაზრის კომისარი ნახე...

—ეჰ, შე დალოცვილო, არ გაგიგონია არაგველების საჩივარი: ერთხელ არაგვმა გლეხებს ქვაბები დასტაცა; არაგველები მტკვართან გმოიქცნენ საჩივლელად და შევხედო—ი გლეხების ქვაბები არაგვმა მტკვარში არ ჩამოატარა! რაღა უნდა ეთქვათ გლეხებს, პირკატა ნაცემნი უკან გაბრუნდნენ... პატრონიო? სად არის პატრონი?! უნდა იყოს, რომ ი უნამუსო მოხელეებს, წვრილფეხა გაიძვერა სოფლის ბატონებს, და ი გამოქცეულ სასალდათე ბიჭებს ელეთ მელეთი დამართოს.. რას მიბრძანებ, სად არის პატრონი! ნეტაი წინადვე მომკვდარიყავ სანამ ერთობა მართლა სულის ცხონება მეგონა, ახლა ერთობა ი მისია, ვისაც მკლავი უჭრის და ნამუსი გამქრალი აქვს.

—მერე ვისი ბრალია? თუ თქვენ თვითონ არ ალაგმავთ მაგისთანა მავნე ადამიანებს, თუ თქვენ დარაჯად არ დაუდგებით მთავრობის ბრძანებათა აღსრულებას — როგო, მთავრობა აქ ხომ არ მოგიჯდებათ? მადლობა ღმერთს, წავიდა ის შავბნელი დრო, როდესაც უცხონი გბატონობდენ, თქვენ არაფერს გეკითხებოდენ; დღეს თქვენი მთავრობაა,-ჩვენი საუკეთესო კაცთაგან შემდგარი; თითოეული მათგანი ჯერ კიდევ ძველი წეს-წყობილების დროს თქვენთვის ეწამებოდა... განა ესენი თქვენთვის ცუდს მოინდომებენ?! მთელი ჩვენი სამშობლო_ საქართველოს ბედ-იღბალი თქვენს ხელშია და თუ თქვენ მხარის არ მისცემთ, რა გამოვა?!

—სათავეში რო რჩეული და ერთგული მებრძოლნი გვისხედან, ეგ ჩვენც ვიცით, მაგრამ საქმე მაგაში კი არ არის...

—მაშ რაშია ჩემო მიტო

—რაში და იმაში, რომ.., ერთხელ ფხოელმა გლეხმა მდინარის სათავეში ერთი კოვზი ერბო ჩაგდო—აჰანდე, ხარშოთ... როგორა გონია, ერთი კოვზით მთელი მდინარე ხარშოდ გადაიქცეოდა?.. ხომ არა?!

—მერე ვისი ბრალია, რომ ვერა? ჩვენმა მთავრობამ ხომ თქვენივე კაცები დაგიყენათ სათავეში და რატო თითონვე არა ცდილობთ, ზევიდან ქვეითამდე ერთი ახრი გავიდევს...

—ეჰ, დალოცვილო შენ გინდა ნარმორეულ გადუხვნელ გაუწმინდავ მიწაში პური გადააბნიო და მერე ყანა მომკოს. განა აქ ყანა მოვა. ჩვენ ჯერ კიდევ სხვანაირი მოვლა და წინამძღოლობა გვინდა... აბა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი ეს მიბრძანე, კამეჩი რო ფაიტონში შეაბა ფაიტონს როგო გასწევს? ცხენშებმულ ფაიტონივით გააქანებს თუ ზანტად გასწევს? ან კიდევ ცხენი რო ურემში შეაბა არიგორ გასწევს? რაც უნდა იყოს, აუჩქარებს არა? ასეა ჩვენი ხოვრებაც. გლეხების მზე არასოდეს არ ამოსულა და ჯერაც არ ადა სჩანს. ხომ იცი, კაი მთქმელს კაი გამგონი უნდაო, და როცა გამგონს ყურები დაცობილი აქვს, სიყვარულით გამთბარი მათრახი უნდა

—თქვენ რაც გინდათ სთქვით და სანამ საქმელ-სასმელი, ჩასაცმელ-დასახური და სანათი არ გაჩნდება, ვეღარც მათრახი გვიშველის...

—შენ ც ნართალი ხარ, ჩემო მიხო, მაგრამ ვისი ბრალია, რომ გულხელი დაგიკრებნია, პირი დაგიღია და ვიღაცას შეჰყურებ: მშიან, მცივა, მაჭამეთ, ჩამაცვითო! ხომ ხედავ, რომ ძველმა რუსეთმა და მისმა ბატონმა შენი ჭირი წაიღო, ახალს შენთვის არა სცალიან.. შენ აღარ მოუვლი შენს თავს.

—როგო, კაცო, რა გზით მოვუარო?. .

—ისეთს რას იტყვი რო ჩვენს ქვეყანაში არ მოდიოდეს. ისეთს რას ინატრებ, რომ ჩვენს სამშობლოში არ იპოებოდეს, მაგრამ საიდან რა მოგეცმა, რომ სხვა თუ ალალი ოფლით, მუყაითი შრომით თავის ცხოვრებას ალამაზებს თქვენ მუქთახოროობით აუშნოებთ... ერთს დროს, უწინ როცა ჩვენი საქართველოს სახემწიფო ჰყვაოდა, ჩვენი ქვეყანა აბრეშუმით თავს იწონებდა, ჩვენი ხალხი აბრეშუმის შინ მოქსოვილ მერდინებით იმოსებოდა, შალეული და საფენი აუარებელი იყო ჰურის მოსავალი ხომ ზღვად იყო ქცეული...

რჩეული საქონლის რძე და ყველი ერბო. თაფლი და სხვადასხვა სასმელი თუ საქმელი გვქონდა, -დღესა? ტყე ისე გავკაფეთ რომ წყაროები დაშრენ მერე ისეთი წყაროები უკვდავებისას რა ეძახდენ, საქონელი გავწყვიტეთ, მეაბრეშუმეობა, მეფუტკრეობა და სხვა მეურნეობა დავივიწყეთ და წახედულობით ისეთ საქმეს ვეტანებით, რაც გვცარავს. კაცი რო თავის თავს უზავს, ქვეყანა რო მიადგეს—ვერ უზავსო. სწორედ ასეა ჩვენი საქმეც. ჩვენი უბედურობა ისკი არ არის, რომ ბევრი რამ გვაკლია, არამედ ისა რომ არა ვცდილობთ ჩვენი შრომით ეს ნაკლი შევივსოთ... არც თუ ისაა უბედურება, რომ გარეშე მტერი ცდილობს ჩვენს დამხობას არამედ ყველაზე დიდი უბედურება ისაა, რომ თვითონ ერთმანეთს ვამხობთ, ერთმანეთის ზურგი ვერ გაგვიმაგრებია და ერთმანეთს ვარჩობთ...

გვინდა თუ არა, რომ ჩვენი სახელმწიფო წესწყობილება დამკვიდრდეს და ნამდვილი ხალხური მართველი მთავრობამ მუდამ ჩვენგან არჩეული იყოს და ჩვენი ყურის მგდები? მაშინ ყოველი ჩვენგანი თავის საქმეს თვისაც სასარგებლოს ერთგულად უნდა ასრულებდეს და ჩვენს მოწინავე კაცებს ეხმარებოდეს. . დაე ქალი მთელი სახელმ წიფოსთვის საჭიროს და თავის თავის თვის მუშამ, რკინის გზის მოხელემ, ხელოსანმა მუყაითად შეასრულოს მინდობილი საქმე, დაე, მიწის მხვნელმა, მესაქონლემ, მეფუტკრემ და სხვა დარგის მეურნემ სიყვარულით გააკეთოს თავისი საქმე, დაე, ვაჭარმა ხელი შეუწყოს ვაჭრობის განვითარებას...

თითოეულმა ჩვენგანმა სამშობლოს სიყვარული და მისი დაწინაურების რწმენა გულში ხატად ჩაისვენოს და იცოდეთ მისი მადლი ყველას გაგვათბობს, დაგვატკბობს აგვამაღლებს... ვიწამოთ სამშობლო და შევიტკბოთ ტერს მედგრად დავუხვდეთ და მოყვარე ვიცნოთ, ვიცნოთ მამული, თორემ ვინცა მოყვარეს ვერა სცნობს იგი თავისა მტერია!

იოსებ იმედაშვილი

სერგო ლუხავა

მაისის 3 სადა მოს 4 5 საათზე (ძველ სტილით) ეოფილ სეიმის დამცველ რაზმის ყაზარმაში, მოჭკლეს ამავე რაზმის მოხალისე ჯარის კაცი სერგო ლუხავა.

სერგო ლუხავა სულ ახალგაზრდა იყო, 19 წ. სწავლა მიიღო სოხუმის საქალაქო სასწავლებელში. სამი წლის წინად, მოხალისედ შეავიდა სამხედრო სასწავლებელში, მაგრამ არ დარჩენილა ბოლომდე. იგი გადიყვანეს არმავირში, იქიდან კი დაბრუნდა ობალსში, და რევოლუციის შემდეგ შანიძის რაზმში ირიცხებოდა წარდგენილი იყო პრაპორჩიკის ჩინზე. ამას გარდა სერგო ლუხავა იყო პარტიული კაცი. იგი სოციალისტ ფედერალისტთა პარტიას ეკუთვნოდა და ითვლებოდა შეუვით და ერთგულ ძუშაკად. ეწყოდა პარტიულ მუაობას თავის ამხანაგებში და სხ... იგი შესტრფოდა გვნთავისუფლებულ გზასა დამდგარ საქართველოს, და მოიმრის სიყვარულით ფიცსა სდებდა სამშობლოს სადარაჯოზე ან ბრძოლაში ან და გაემარჯვნა. მაგრამ სიკვდილმა უფრო ადრე მოსძებნა, და 3 მაის, სერგო სამუდამოდ გამოეთხოვა სამშობლოს. გარნა მისი სიდუმლოებით მოსილი სიკვდილი დღესაც ბევრს ადელვებს, და ელიან ფარდის ახდას. სერგოს დედა, რომელსაც 21 შვილი ყოფილა, და სერგო კი პირველი მკვდარი შვილია, ეი ეს მოხუცი, მაგრამ კაეანი დედაკაცი შემოვიდა ჩვენს რედაქციაში და გვთხოვა გვესწავლებინა გზები, რომ გაეგო შვილი სიკვდილს ნამდვილი ამბავი. მაგრამ გაგებს კიამობენ თავი მოიკლაო, ხოლო იმასაც ამობენ მოჰკლესო. ექიმს უთქვამს შემოწმების დროს, ტყვია სხვისგან არის მოხვედრილიო, გამოძიება არ სწარმოებს. მაგრამ განა ასე უნდა გავაეთოთ ადამიანის სიცოცხლე? სერგო ლუხავას ბრგე დანდი პასუხს ითხოვს. უნდა პასუხი გავსცეთ მოვაქცევთ მთავრობის ეურადღებას, და სერგო ლუხავას ღრმად დამწუხარებული დედას პირით მივმართავთ მთავრობას გაგვაგებინოს: ჩვენი ძვირფასი ამხანაგი სერგო ლუხავა მოჰკლეს თუ თავი მოიკლა? და თუ მოჰკლეს, სად გაქრნენ მკვლელები? ადამიანის სიცოცხლე უძვირფასესი რამ არის. მას მოვდა და პატრონობა უნდა. ვერც სერგო ლუხავას დავტოვებთ უპატრონოდ.

3. კ—ლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქულიჩკები

ის პირველ როლებს ასრულებდა. ნიჭიერ მსახიობათ ითვლებოდა, მშვენიერი ტკბილი ხმა ჰქონდა და მიმიკა.

და კიდევაც ეს ხმა და ღრმა, ჭკვიანი თვალების გამომეტყველება ხიბლავდა მის თანამშრომლებს.

მაგრამ ერთს უფრო ახალგაზდა სცენის მოყვარეს ლამაზი ტანჯვის ისრები დაურბენდენ ხოლმე ნორჩ სხეულში ყოველ მის ხმის გაცემაზე, ყოველ მის ოდნავ შეხედვაზე.

არც ერთი და არც მეორე არ აძლევდენ თავის თავს ანგარიშს, თუ რისთვის ან რა ძალის ზეგავლენით, ეს ორნი, ერთმანეთისთვის უცხო არსებანი, რათ გრძნობდენ თავს კარგათ ერთმანეთის სიახლოვით, რათ უყვარდათ დაუსრულებელი კამათი, რათ ცდილობდენ ერთად ყოფნას, და როცა ერთმანეთს შეხვდებოდენ რათ უცინოდათ თვალები, თვალები ანთებული ცელქური ცეცხლით...

პატარა სცენის მოყვარეს მორცხვად დაეხარა თავი, როცა ის გატაცებული იდუმალ გრძნობით, ანთებული სახით სთხოვდა ნებართვას მისი თვალების დასაკოცნათ.

,,მე მიყვარს თქვენი თვალები; მე მინდა სულ თვალებში გიცქიროთ აი ასე. თქვენ ისეთი კარგი თვალები გაქვთ, რო ერთი წუთითაც არ მინდა მათ მოვშორდე..... ახ რათ, რათ შეგხვდით აქ, რა გინდოდათ? რისთვის ჩამოხვედით?''

და არ იცოდა პატარა მსახიობმა დაეჯერებინა თუ არა...

სურდა რომ ეს ასე ყოფილიყო, სწყუროდა ახალი ალერსი, ახალი გრძნობა, მაგრამ გულის სიღრმეში რაღაც უნდობლობა იღვიძებდა, სადაც ეჭვი გულს უღრღნიდა და ვერ გამოეხატა თავის სულის მოძრაობა.

გონება კი თითქოს უკარნახებდა:—ამას სიცრუე არ შეუძლიან, ეს სხვას არა გავს, ეს კარგია, უწყინარი, ზრდილი პატიოსანი, ამას არ შეუძლია შელახოს სხვისი გრძნობა.

თითქოს ორთავენი იდუმალ ქსელის ძაფებში გაეხვივნენ... თითქოს დამეგობრდენ, თითქოს უფრო ნაზი კილოთი ჩურჩულებდენ კულისებში ვიდრე ფარდა აიწევოდა,

ის სთხოვს: ,,ჩემთან იყავით აქ, მაშინ უფრო აღფრთოვანება მეტყობა, უფრო კარგათ ვთამაშობ.... და ორთავეს სჯეროდათ ეს სიტყვები. აი გათავდა პირველი მოქმედება, მეორეც...

პატარა სცენის მოყვარე სთხოვს: ,,წამაკითხეთ ის ბარათები, რომელიც სულ ნუდამ თქვენ გულის ჯიბეში გიწყვიათ, მე ხომ არავის არ ვეტყვი, არ გაგცემთ, მე მხოლოდ მინდა გავიგო თქვენი საიდუმლონი''.

ის აინთო....

როგორ? მის წმიდათა წმიდას, მის სამლოცველოს, მის ტაძარს სხვა შეეხოს, სხვამ წაიკითხოს ის რასაც ასე გაფრთხილებით, ასე ფაქიზათ ინახავს ის თავის გულის სიახლოვეს რაც ასე მჭიდროდ არის დაკავშირებული მთელ მისი არსებასთან, რომლის თითეული ჰწკარი მთელს სიცოცხლეს ერჩივნა?...

და აი ეს პატარა მსახიობი გაკადნიერდა და ლამობს შეიჭრას მის საიდუმლოთა სამეფოში.

არასოდეს....

ცივად იცქერიან ღრმა თვალები. ცივი კილოთი სასტიკათ, ულმობელად უპასუხებს პატარა მსახიობს:

,,მე არ მიმაჩნია სავალდებულოდ ყველაფერი თქვენ გაგიმჟღავნოთ, ჩვენ არც ისეთი მეგობრები ვართ, რო ყველაფერი შემეძლოს გულახდილათ გითხრათ და მით უმეტეს ჩემი წერილები...''

გაშტერებული, გაოცებული უცქერის პატარა მსახიობი.

გული საშინლად უცემს.

მაშ აი რა ყოფილა ეს რჩეული? აი რა შეხედულება ჰქონია მის ,,მეგობარს!''

თვალები აევლვრია. ბუნდოვანად ხედავს მეგობრის სახეს, მის თვალებს, გარინდებული სდგას და ცრემლების ტალღამ ლამის არის გადმოლახოს წამწამების რკალი.

ელვის სისწრაფით გაურბინა თავში ყოველმა მისმა სიტყვამ, ხუმრობამ, მის თხოვნამ...

თვალთა ხედვა სულ დაუბნელდა. სირცხვილი, შეურაცყოფა ერთი მეორეს შეებრძოლნენ.

ქალმა გადადგა ორიოდე ნაბიჯი და ამოეფარა დეკორაციებს.

ორი ცრემლი ჩამოსცურდა თვალებიდან. ამ დროს გაისმა სცენარიუსის ხმა. მოიკრიფა მთელი ძალღონე პატარა მსახიობმა და გავიდა სცენაზე. ხმა უკანკალებდა, ცრემლები ახრჩობდა საშინელ ტანჯვას განიცდიდა და თან თავის როლს ასრულებდა. თავმოყვარეობა არ აძლევდა ნებას სხვისთვის შეემჩნევინა თავის სულის კვეთება, არც იმისთვის—ვინც იყო დანაშაული ამ დაუმსახურებელ ტანჯვის.

აღარ ახსოვდა, თუ როგორ ჩაიცვა ტანისამოსი და დააპირა სახლში წასვლა.

უცბად დაინახა ხელში მისი გაზეთი. თავდახრილმა გაუწვდინა მას და მადლობა გადაუხადა.

ეს იყო მოასწრო თავის ოთახში დაბრუნდა, რო დაგროვილმა შეკავებულმა გრძნობამ იფეთქა და ცრემლების ისრებათ დაიფანტა მის გამხდარ, გაფითრებულ სახეზე.

—არა, ეს ლაჩრობაა, რათ ვტირი,—არცხვენდა თავის თავს პატარა მსახიობი.

ზეზე წამოიჭრა, შეიმშრალა სახე და ისევ დაბრუნდა თეატრში, რო არავის არ შეემჩნია მის უდროვოდ წასვლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწარე ღიმილი გადაჰკრთოდა სახეზე, თვალები კი უცინოდენ. ვერავინ ვერ შეატყო, [illegible] რა ხდებოდა მის ამაყ გულში.

დიდი მსახიობი კი არა გრძნო[illegible]ა თავის დანაშაულს. პირიქით იმას ვერ ეპოვნა ვერა[illegible] თარი მისი გასამართლებელი საბუთი და სასტიკად [illegible] და თავის ყოფილ ,,მეგობრის'' ქცევას.

ზედაც არ შეხედა დაბრუნებისას. ოდნავათ არ მიუხედნია მის მხარეს. აჩქარებულ ნაბიჯით გაეშურა. მსახიობი თავის სახლისაკენ. აქ თავის ოთახში უნდოდა ეპოვნა გულის სიმშვიდე, მაგრამ უცაბედად მაგიდაზე დაინახა პატარა სცენის მოყვარის გადაშლილი წიგნები.

ზიზღით აივსო მისი გული• გაშმაგებულმა დასტაცა ამ წიგნებს ხელი, ერთად დააწყო და უნდოდა შორს. შორს გადაეტყორცნა. ,,არა, არა, მის ხსენებაც არ უნდა იყოს აქ ჩემს ოთახში!''

გული აღარ უთმენდა.

წამოიკრიფა წიგნები და გავიდა ქუჩაში.

რამდენიმე ხნის შემდეგ ჩამოიარა პატარა სცენის მოყვარემ თავის ამხანაგებით, და თვალები მიაპყრო მის გაჯავრებულ სახეს.

—მე გიბრუნებთ თქვენ წიგნებს, ოდნავ წარმოსთქვა მან.

პატარა მსახიობმა იგრძნო ყველაფერი, ეს იყო დამატებითი რევანში.

ეს იყო შურის ძიება.

მაგრამ არ შეიმჩნია, სხვასთან თავი შეიმაგრა და წარბშეუხრელად ჰკითხა: მეორე ტომი ხომ არ გინდათ

—,,არა!''

,,არა'' ეს ყველაფრის უარყოფა იყო.

ათასნაირად ახმაურდა ეს ორი მარცვალი მის სმენაში.

ეს იყო სამარადისო პასუხი. ,,არ მინდიხარ, არა და არა, არაფერი ხარ, მხოლოდ ქალი, ქალი, რომელიც შეიძლება უარყო ყოველ წუთში''

გაიფიქრა პატარა მსახიობმა და დაღონდა. .

მარ ჯ:ნ

ა რ ა! ა რ მ ჯ ე რ ა..

და კვლავ წამება ჩვენსა ერში, კვალად წამება! .
ოხ, დშერთო ჩემო, კიდევ მესმის ტანჯვანი;
ნუ თურომ ბოდო არ ექმნება ხალხი მწარე ძრწოლას,
ნუ თუ სიბნელე კვლავ განაგრძობს აქ ჩვენში წოდას!

არა, არ მჯერა! ეოვედიეე ამ ცუდ მოვლენებს,
რომ არა ჭქონდეს დასასრული... გამოინელებს!
ეს ყვიმა ალის; შეჩერდება, გამოიდარებს,—
ბნელიც გაჭქრება და სინათლით ერა იხარებს!..

ერეკლე ყანჩელი

მახინჯი სული

უალდისებური

...და გაიხსნა ვარსკვლავ საკინძე ცისა და გამობრძანდა მეუფე მორთული ძოწეულითა და სახითა თვისითა მშვიდითა...

ბრძანებდეს და მოართმიდიან მას სავარძელსა მთვარისა, ხოლო ტაბლასა ეზისასა..

და დაბრძანდა ის ტაბლასა ზედან და მოუსხდის გარეშემო ამალა მისი...

და მოითხოვა მან უფალმან უსტარი ცისა და მიართმიდიან მას ოქროს ქსოვილთა...

და გაშალა მან უფალმან უსტარი ესე და სთქვა:

—რამეთუ ეხლა დრო არს მიღება ერთისა სულისა გაგზავნილისა ქვეყნად.

და წინაშე ღვთისა წარსდგა ჩონჩხი სიკვდილისა და მოიყვანა სული მახინჯი, თავი რომლისა დასერილიყო ბოროტი ფიქრებითა; გულსა მისსა გადაკვროდა ლაქები შურისა, ხოლო ხელები შეღებილიყო ადამიანის სისხლით.

და რქვა მან უვალმან მახინჯსა სულსა:

—რამეთუ მე შენ გაგზავნე სპეტაკი და შენ მოხველი ძახინჯი: რამეთუ მე შენ მოგეცი ტვინი ნაკვეთი მარმარილოსი, ხოლო შენ მომიტანე საპნისა ბუშტი; რამეთუ მე შენ მოგეცი გული გრძნობათაგან წითლად შეღებილი, ხოლო შენ მომიტანე კუპრში ამოვლებული; რამეთუ მე შენ მოგეცი ხელები ბროლისა ხოლო შემ მომიტანე ადამიანის სისხლით შეღებილი; რამეთუ მე შენ მოგმცი ენა, რომ გელაპარაკა სიმართლე ხოლო შენ ლაპარაკობდი სიმრუდეს—არ გეღირსოს შესვლა წიაღსა აბრაამისასა, გახდე მსხვერპლი ჯოჯოხეთისა და საწიწკნარი ეშმაკთა და სათაელთა!..

და აიღო მან მახინჯმან სულმან თავი თვისი და რქვა უფალსა:

—მართალია!.. მე შენ გამგზავნე სპეტაკი, მაგრამ გამიჩიე ტალახიანი გზა. რომელითაც მე დავმახინჯდი მე შენ მომეცი ტვინი მარმარილოსი, მაგრამ გამგზავნე იქ სადაც ბუდობენ ბოროტნი ფიქრნი, რომელთაც ამომართვეს ტვინი მარმარილოსი, ხოლო მის ნაცვლად ჩამიდვეს საპნისა ბუშტი ავსილი ბოროტებისაგან; მე შენ მომეცი გული გრძნობისაგან წითლად შეღებილი, მაგრამ შემახვედრე ეშმაკი, რომელმაც წამართვა ის და შურის ტბაში ამოვლებული დამიბრუნა; მე შენ მომეც ხელები ბროლისა, მაგრამ გამგზავნე სამეფოში სისხლის ღვრისა, სადაც ჩემი ხელები ადამიანის სისხლით შეიღება; მე შენ მომეცი ენა, რომ მელაპარაკნა სიმართლე მაგრამ შემახვედრე გველი, რომელმაც მომშხამა სიმრუდითა და მუდამ სიმრუდე მალაპარაკა... და მითხარ უფალო, სად არს დანაშაული ჩემი?!.

და შეკრთენ სულნი ცისანი, რათა არ სმენოდათ ჯერ ხმა ასეთი, ხოლო უფალი იყო ისევ მშვიდად და შეურყეველად დაჰყურებდა მახინჯსა სულსა...

ს. ურუშაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექ. ივანე თიკანაძე
სამხ. ჰოსპიტალის უფროსად დანიშ

ექიმი მ. ო. ზანდუკელი
მოსკოვის ქართველთა საზოგადოების თავმჯდომარედ ნამყოფი, რომლის თაოსნობითაც დაარსდა საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება.

გიორგი პავ. ერაძე
შრომის მინისტრის ამხანაგი, მუშა, მწერლობაში და პარტიაში ბრადიაგას სახელით ცნობილი.



ინჟინერი არჩილ მეტრეველი
ქართ. ვაჭარ-მრეწველთ კავშირის წარმომადგენელი ბერლინში სხვადასხ. საქონლის შესაძენათ, სამრეწვ. ცნობათა შესაკრებად

ქართველი ჯარის ქება

მე, ქართველი ჯარის კაცი, ვით არწივი სწრაფი, მალი,
ჩემ სამშობლოს დარაჯივარ... ხელთ მიჭირავს ტეტხლის ხმალი;
თვალთ არ ვხუჭავ დღე და ღამე, მთელ სიცოცხლეს მსხვერპლად ვწირავ
მტერს ქურდულათ შემოპარულს გულს მახვილით განუგმირავ!..
დარაჯი ვარ... ციხის კარე დავალ მარტო, დავალ ობლად—
ჩემ სამშობლოს საიმედოთ და მტარვალთა დასამხობლად...

ლედოფალი დარბაზშია, პირზე უკრთის ტეტხლის ღიმი!
ლდეს ზეიმობს გამარჯვებას, გაუმართავს მას ნადიმი.
ხედავთ, როგორ ათამაშებს ვნებით სავსე მკერდის კარებს,
ეშეფას ათრობს სიდამზეთ, ახლო არვის არ იკარებს..
და მეც ვდგევარ კლდის განპირს და ვდარაჯობ მარტო ობლად
ჩემ ლედოფლის სანუგეშოთ და მის მტერთა დასამხობლად.

მიქელ დი ნელი

არ მოკვდება, არა, არა!

ირგვლივ მტრები ახვევია ამ ჩემ ტურფა საქართველოს.
ბევრს სწყურია დაეუფლოს მის მშვენებას, მის ბაღ მდელოს!
მაგრამ ისე არ მოკვდება, არ მოკვდება ჩემი ერი,
რომ დაეცეს სამარცხვინოდ, დაიკრიფოს გულზე ხელი!..
ვ-ცი, მჯერა არ ანდომებს ჩემი ერი ნაძრახ სიკვდილს,
მჯერა: მტერი მას ვერ ნახავს სასიკვდილოთ ლონე მიხდილს!
ეყოს უნდა ჩემმა ერმა რაც ტკივილი გაიარა,—
ის იცოცხლებს დამიჯერეთ, არ მოკვდება, არა, არა!..

თამარა გოგუაძისა

არჩილ საყვარელიძე
სამეგრელ. ბრბოსთან ბრძოლაში დაღუპ.

ჩემი სიმღერა

და საქართველო მკვდრეთით აღსდგა,—ნეტავი ჩვენა!
მის ტურფა ველებს კვლავ მოესმის ბულბულთა სტვენა.
მო, ერის შვილნო ერთად შეკრბეთ, დღეს გვმართებს ლხენა,
დროშა ავმართოთ, ვიზეიმოთ მკვდრეთით აღდგენა!..
„ვხედავ მოფრინავს გამალებით თეთრი მერანი,
აღარ მოსჩანს გამარჯვებულს შავი ყორანი,“—
გზა ეკლიანი გადმოლახა—ტანჯვისა ნარი,—
მოდის ჭაბუკი, მოიმღერის ქართველთა ჯარი!..
და საქართველო მკვდრეთით აღსდგა! აღსდგა ტანჯული!
ხმალს ხელი იკრა და გაისმა სიტყვა ქართული!..
მო, ერის შვილნო ერთად შეკრბეთ, გვიხმობს მამული,
დღე დიდებისა დღეს გათენდა, აღსრულდა თქმული!..

მუშა მიხ. დევაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლადიმერ ახმეტელაშვილი
ცნობილი პუბლიცისტი, სოციალ. საგანთა ზედმიწევნით მცოდნე, ეროვნულ საბჭოსწევრი, ს.-დ. პარტიის მიერ გერმანიას წარგზავნილი გერმანიის ს.-დ.პარტიაში საქართველოს დამოუკიდებლობის იდეის განსამკიდრებლიდა.

კომპ. ნ. პ. სულხანიშვილი
ჰიმნთა შეჯიბრებაზე გამარჯვებული კომპოზიტორი, რომლის ნაწარმოებიც ჟიურიმ ერთხმად აღიარა სერიოზულ ღირსშესანიშნავ მუსიკალურ ნაწარმოებად, რომელიც სავსებით გამოხატავს ლოცვას. ქართული კლუბი კომპოზიტორს ამ კვირას, ენკენისთვის 22, ბენეფვისს უმართავს. მოწონებული ჰიმნი შესრულებულ იქნება ორკესტრით.

საკიანი
ამიერ კავკასიის სეიმის ყოფილიწევრი სომეხთა ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარედ არჩეული ერევანში, სადაც იმყოფება არარატის რესპუბლიკის მთავრობა და ეროვნული საბჭო.

მუდარა

ცაო გვეყო, კმარა, კმარა
ქუხილი და ტრემლთა დენა;
ახლა, ჩვენთვის საკმარია
მზის სხივების გადმოფენა,

რომ ნათესმა მოიწიოს
დაბურდეს და დათავთავდეს,
სოფელი არ დაგვენთქრიოს
და ქვეყანა არ გაავდეს.

სოფელი თუ დაიმშევა
თან მოჰყვება მას ქალაქი,
და გერაფერს ვერ უშველის
ვერც მკითხავი, ვერც ლაქი.

დაჩქმალული ოქრო — ვერცხლი
ბზესავითაც რომ ყარაზ,
შიმშილს ვედარ შეისეიდის,
მხოლოთ ტრემლი უნდა დვარაზ.

გაიძვერა ჩარჩმა თავი
თეირათ ვედარ გაიყვანს,
როგორც უნდა ითავლთმაქცოს,
როგორც უნდა იყეანოს..

ცაო, ცაო, ტრემლი შენი
კმარა, ნუდარ დაგვასვენებს,
თორემ უფრო გავალადებთ
ჩვენს წამწყემედს და გამეიდვილებს.

დამენილი და დათესილი
ზისცა გვაქვს რამე ქცევა,
დდეშდის სისხლით მოყანილი
უნა ეოფოთ წაგვექცევა!.

შიო მღვიმელი

მდინარე

მიყვარს მდინარევ, როს შენს ნაპირსა
ვზივარ, ფიქრებით გარემოცული,
მე გულში ჩაგცქერ და შენ კი, ცელქო,
ჩქრიალით მიჰქრი გამალებული?.,
წამები წუთს ჰქმნის, წუთები საათს,
შენ კი მდინარევ, ცხოვრების ზღვასა,
მაშ გასწი მედგრად, მეც თან გავყვები,
შენს სიმწუხარეს, შენს გულის დარდსა...

ტანჯული მუშა

ჩემს სამშობლოს

დეე, დავიტანჯო, ვზიდო ჯვარი გოლგოთას მთაზე,
მედინოს ცრემლი. არ შემაშრეს ტანჯულ თვალებზე,

არარად ჩავთვლი, სიკვდილსაცკი მოვეგებები,
ოღონდ, სამშობლოვ, საყვარელო, ნუ დაღონდები?..

ზ. ზემოხ. ნდაკელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქ ო რ წ ი ლ ი

ალეგორია ამ სანახაობად.

გაგრძელება. იხ ,,თ და ც.'' № 11.

(ერთ მხარეს ვაჟთა რაჭველ-ლეჩხუმელ-ათაბაგ-მეკრელთა ფერხული, მეორე მხარეს — ქალთა)

რაჭველნი (წმინდა ხმით). უნდა ღმერთი ვახსენოთ,
გულის ბოღმა გავდევნოთ!

ლეჩხუმელნი (ბოხი). ღმერთი ყველგან ერთია,
ჩვენი შემაერთია.

ყველა ერთად ჰალალალე, ვალალე,
კოხტავ დაგენაცვალე, —
სადაც არის ერთობა —
იქვე სუფევს ღმერთობა.

ქალთა გუნდი სიყვარული დიდია,
ყველა მასზე ჰკიდია —
აგრე, აგრე მარჯვეთა,
ყველა ვიქმნეთ გამრჯეთა!

ქალნი და ვაჟნი ჰალალალე, ვალალე,
სიცოცხლე გვსურს, გვაცალე!
(საერთო ფერხული)

მესტვირე (შემოდის და მოფერხულთ სიხარულათ)
ვენაცვლე თქვენს გამჩენელსა,
მიგიციათ ხელი ხელსა;
სალამი ღვთის შეგეწითთ
შეკრებილთა აქ ყველასა.
გულმა აქეთ გამომწია,
თგვენგან ველი მე შველასა!

უბედური გავჩნდი ქვეყნად,
რისთვის გავჩნდი — არავინ მკითხა.
ვისაც ვსთხოვე დახმარება,
არავინ არ გამიკითხა.
ვერაგობას ვერა ვფარავ,
ვამხელ ყველას ავობასა
და ვსთხოვ უფალს, გაუმარჯოს
მებრძოლ ახალ თაობასა!
ძლივს ვეღირსე ძველის წესის
ძირ-ფესვიან დამხობასა!
ახლა ვეძებ ჩვენსა ხალხში
ძმობასა და თანხმობასა!
ჩვენი სახლის დედაბოძი
მუდამ იყო ქართლის ქალი,
ხელმარჯვესა, გამრჯე მშრომელს
შორსმჭვრეტელი ჰქონდა თვალი:
შვილებს ზრდიდა მამულისთვის
რომ გვქონოდა მომავალი.

ახლა რა ვსთქვა, მათგან ზრდილმა
ვერა ვნახე ვერცა ცალი!

ოჰ გურულო, გენაცვალე,
რომ წინამძღერვობ ერთობასა,
ფხიზელი ხარ, გამბედავი,
ებრძვი მტარვალთ ღმერთობასა.
გმირთან ვხედავ ქალაჩუნას,
გულსეს მიკლავს და მაღონებს;
იმედია გაასწორებ,
უკუღმართად განაგონებს;
მე უზალთუნს მომთავაზებ,
გულსა იგი მომიფონებს!

კახელისა ქება-მკობა
გადამეექცა ხელობადა,
შრომასა და ქეიფშიაც
კახელო გაქვს კარგი მადა.
გურულს შენც არ ჩამორჩები,
წინ, წინ მიგაქვს ძმობის დროშა, —
მენაც გული დამიამე
და მიბძანე რამე გროშა!..

შენ ქართლელო მძიმედ იძვრი
თუ დაძვრი — არ დასდგები,
ამიტომაც მგონია, რომ
საქართველოს თავს დასდგები.
გაუტეხელ გულისა ხარ,
მჯერა - წელში გასწორდები, —
აწ ჯიბესა ხელი იკარ,
გენაცვა ნუ დამზარდები!

რაჭის შვილო, შრომის ნიჭო
შენით ველი გახარებას,
დაჩაგრული საქმობლოის
აღდგენას და აყვავებას.
შრომა წინსვლის თავდებია,
და შრომაში ვინ გაჯობებს, —
ვიცი, შენი უხვი ჯიბე
აბაზიანს მომიბობებს...

სამეგრელოს მკვირცხლო ძეო,
თითქოს იყო უარზეო,
საქართველოს ძველო ფუძევ,
დიდი ვალი შენ გაძევ.
აფხაზს ხელი გაუწვდინე,
ძმურებ ფეხზე აღადგინე,
(მით სამშობლო საქართველო)
ადიდე და მოალხინე
და მეც ბედკრულ მესტვირესა
შენი ჯილდო რამ მაჩვენე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენ რა გითხრათ აჭარლებო
ძველთგან ძველო ქართველებო
სულბრწყინვალე ჩემ წინაპრის
დიდი შოთას ალმზრდელებო,
საქართველოს ცეცხლის კერა,
რო ამოქრეს — ნურვის სჯერა;
თქვენი შეშაც უნდა კერას,
რომ გადურჩეს ბედის წერას! —
მაშ გაიკეთ ჯიბეს ხელი,
უზალთუნი მინდა ჭრელი.

თუშ-ფშავ ხევსურთ გენაცვლებით,
მაღალ მთათა არწივებო,
გული თუ გაქვთ ძველებური
მტერს მუქარას ვაწვიმებო;
მანა პაპათ გმირის სული
არ ჩამქრალთა თქვენში კიდე,
მაგან უნდა გამოგვიხსნას
ავ მეგობრის გადამკიდე...
თავი ჩვენად ვეყუდნოსო,
თქვენგან წინად გამაგია, —
დაგვეხმარეთ.. და გვ-ბოძეთ
რაც რამ ჩემი წეს-რიგია!

ოსნო, თქვენი წინაპარნი
საქართველოს ჯამში ჭამდნენ,
თამარ დედის სამეუღლოს
ვაჟკაცურად აგვიზრდიდნენ,
საქართველოს ფრთათა ქვეშე
ყველა შვებით მოილხენდნენ.
აწიც გვმართებს ერთსულობა,
რო მტრები არ წამოგვაღდნენ, —
იმედია, ჩემს წესს ალმცემთ,
ბალღები არ აგვიჯანყდნენ...

თქვენ აფხაზნო და მთიელნო
საით მიგაქვთ ყური, თვალი?
ჩვენო ძმანო, განუყრელნო,
ჩვენთანა გაქვთ მომავალი;
ერთი გვქონდა მუდამ ჭირი
ნუ იქნება ჩვენში ძვირი,
გადგომა და დედის წყენა!
ჩვენი დედა საქართველო
კვლავ აღსდგება, აჰყვავდება;
ყველა მისი სასურველი
წინ წავა და განახლდება,
თქვენი ბედიც ჩვენთან არი, —
ჩემთვის კიდევ რამ ქანქარი!..

კახეთისა კარის მცველნო,
სისხლათ ჩვენნო, ინგილელნო,
ბევრჯერ შავი დღე გინახავთ,
სული მაინც შეგინახავთ.
ახლა ეგინდა თქვენიც ძმობა,
ყველაფერში თანახმობა,
რომ შობელი აღვიდგინოთ,
ნამტირალი მოვალხენოთ!..
გულუხვო და ხელგაშლილო,
ვინძლო მეც რამ მინაწილო!..

(დამბაჩა გავარდება)

მეფანდურე ვიჩქარდავს. ჰე, მოდიან, მოდიან.
მოჰქრის მახარობელი.

(შემოდის მახარობელი)

მახარობელი. ,,მე ვარ მახარობელი,
სახლის გამხარებელი:
მოდის მეფიონი,
გწყალობდეთ სიონი!''

მეფანდურე ვიცი, რაც შენ გწადიან, —
ესეც სამადლობელი.

(მკედრს შეუხვევს ბაღდადით. მახარობელი ერთ ჯამ დვინოს გადაჭერავს და ისევ უკან გავარდება)

ვაჟთა გუნდი. ვარდს ეწვია ბულბული,
ახლა ჰხარობს მის გული.

ქალთა გუნდი. ჰხარობს ახლა მის გული,
შვებით გახარებული.

ორივე ერთად გაუმარჯოს მომავალს
ნეფესა და დედოფალს.

მოისმის სიმღერა. მოვდივართ, მოგვიხარიან,
რძალ-ნეფე ჩვენთან არიან, —
დედალ-მამალი ხოხობი,
დღეის ლხინისა შემკობი.
მოვდივართ, მოგვიხარიან,
ორივე ჩვენთან ირიან!

(ზედიზედ სრულა)

ქალ ვაჟთა გუნდი. გაუმარჯოს მომავალს,
ნეფესა და დედოფალს.

(კიდევ სრულა.

მოისმის კუჩხა ბედნიერი. მაყრიონი სიმღერით შემოდის და ,,კუჩხა ბედნიერის'' სიმღერით სამკზის შემოუვლის ირგვლივ. ვიდრე ჯვარ დაწერილნი შემოვიდოდნენ, ქართველი და კახელი ამოდებულ ხმლებს კარიბჭეს გადაჯდობენ; მის წინ მკვრელი და რაკვეული სარტეულის მაგვარ ბრტეულ ზონარს კასკვიმვენ. ტიტიკო ქართველი შემოსავალ კარებში მთლიანეს დაბერქვაგებს)

(დასასრ. იქნება)

იოსებ იმედაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოლოზანი და მზე-ჭაბუკი

[დასასრული. იხ. „თ. და ც.“ № 12]

წამოდი ჩემთან, წამოდი ბურჯზე...

ღმერთი იქ არის, სადაც ჰშრიალებს ტურფა წალკოტი... სად ჰკისკასობენ ნაკადწყარონი.. სად ხმა-ტკბილობენ ჩიორაები...

იქ ქარიშხალია და წყნარი ლილა ოქროფრთოვანი... იქ მწვერვალია და უფსკრული თვალ-მიუწვდენი. .

იქ არ იცვან სინანული და სიმარხული...

იქ ვერსად ჰნახავ ასეთს მოწყენასა..

ვერსად შეჰხვდები მდორე ცხოვრებას... ტიალს უდაბნოს...

აბა რასა ჰგავს შენი მოწყენა?..

რა ბედენაა ესე ფლასი უკუნეთისა...

რომ არ გიხდება...

გადაიძრე ძაძა-თალხა..

მე ბადახშანი ლალით ნაქარგ ქლამინდს წამოგასხავ...

ოღონდ დამყევი...

ოღონდ წამომყევ სხივოსანს მხრისკენ... ბეჟმენდის ზოდებისაგან ნაგებ მთებისკენ..

ღამე ისმენს და ჰთრთის, ჰაბანებს...

იგი ხომ ქალწულია, მორცხვი ქალწული, რომელსაც სიზმარშიაც კი არ მიჰკარებია მზე-ჭაბუკი. .

იგი მოლოზანიცაა...

მას „ცოდვათა მკურნავი ხისაგან უკვე მიულია ფურცელი მოთმინებისა, ყვავილი სიწმინდისა, დაუნაყია ფილსა შინა მდუმარებისასა, განუცრია საცრითა გულის ხმის ყოფისათა, შთაუყრია ჭურჭელთა სიმდაბლისათა, განუგრილებია [illegible]ნარხვითა და შეუსვამს კოვზითა სინანულისათა...“

ახლა კი... ახლა... მზე-ჭაბუკი ურჩევს დაივწყოს იგი... წაჰყვეს სიცოცხლისკენ.. სიგიჟმაჟისკენ.- სიანცისკენ... ვარდ-ყვავილებისკენ,,. კოცნათა მტევნებისკენ...

რა ჰქმნას მოლოზანმა?..

როგორ დაახწიოს თავი წმინდა აღთქმას... როგორ მოიშალოს ნირი სალმრთო მსახურებისა?..

როგორ წაჰყვეს ფირუზის ბურჯისკენ... როგორ დაინთქას სიყვარულის სხივ-ნარში...

როგორ დაითროს გრძნობიერების მაჭარით?..

აჰხ!...

რა რიგ იტანჯება.., ვით განიცდის სულის ღელვას...

სასოებითა ჰლოცულობს... ზენაარს იხმობს განარინოს მისგან აუგიანი ფიქრები.

მ-ჰ]ადლოს მშვიდობა მსასოებელი..

სტირის ამოსკვნით...

ჰქვითინებს პირველ სევდით...

იცით?

ესოდენი ცვარ-ნამი დილ-დილით რომ ციმციმებს ყვავილთა ფოთლებზე —სულ მოლოზნის ცრემლებია...

მწარ ტკბილი ტანჯვის ცრემლები...

მგოსნები კი ჰფიქრობენ ვითომც იგინი ვარსკვლავებს გამოეგზავნოთ ყვავილებისთვის ნიშნად ტრფიალებისა, ბელგად სიყვარულისა. .

სულელები...

მზე-ჭაბუკი ემუდარება გადაიძროს თალხი, დანახოს გრძნობის წყარო თვითეკ მკერდზე აბროლებული...

აბა მოლოზანს რა გაახდევინებს ტანთ ისიც მემაკაცთან—მზე-ჭაბუკთან...

როგორ გამოაჩენს ქალწულებრივს ძუძუებს თურაშაულ ვაშლებივით ალისფრად მომწიფებულებს...

ჩუ!. .

ამბორიც მოსტაცა...

მქირდავივით მოსტაცა უბიწოთ ღაწვიდან პირველი ამბორი...

—უი, დამიდგეს თვალები! —შეჰკივლა მოლოზანმა და ხელის სმა დაიწყო იმა დგილზე, სადაც მზე-ჭაბუკმა აკოცა, თითქოს ჰსურდეს სამუდამოდ ამოეცალოს კოცნის ნაკვალევი...

ჰმ!..

რა ამოშლის, რა იმას რაც იწერება სიყვარულის ისრით, ტრფიალების ცრემლებით..

მზე-ჭაბუკი თამამია...

მოლოზნის შეკრთომა როგორ დააყრევინებს იარაღსა?

თავს განგებ იკატუნებს და ეეედდრება პატიებას, შეცდომის მიტევებას .. სწამს რომ მოუტკბება..

მოლოზნები ხომ მისთვის არსებობენ, რომ მიუტევონ უგუნურთ, გაუწოდონ მოწყალების ხელი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზე-ჭაბუკი უფრო თამამად ეხვევა... ეტმასნება უსუკაზივით..

გ ჟი...

საძაგელი...

უყურეთ... უყურეთ...

ხელებსაც კი უყოფს ძუძუებში...

საწყალობელი მოლოზანი, საწყალობელი

ახლა კი წავიდა მი'ი საქმე, დაიღუბა...

როგორ იწურება სირცხვილისაგ ნ, როგორ ეხვეწება დაიფაროს იგი, ანებოს თავი..

მაგრამ. . ძუძუები... აჰ. , ძუძუები ჰღუპავენ..

თახების შეხება ჰკვეთენ ნებისყოფის სიმტკიცე'...

ძუძუები ეშხით სწურავენ... ენებით ათხეთხათებენ მის არსებას...

მზე-ჭაბუკმა შეჰნიშნა სუსტი მხარე მიუვალი ცხე-კოშკ სა და იქიდან მოუმატა იერიშებს...

იგი ეკონება ძუძუებზე და ჰკოცნის.. ჰკოცნის ისე ხარბად, რომ მიცვალებულნი სიკვდილის ბურანისაგან ერკვევიან და ჰთრთიან ეშხით. ,

რ ლა მიცვალებულ ნი, როდესაც საჭურისნი მთლად გარდაქმნილან.

ნეტავი განახათ როგორ აჰჩქარებიათ გალელეჩებული სისხლი...

როგორ აჰკვესებიათ დამჭკნარ-გაცრ ას ტეშული თვალები,..

საჭურისნი ჰღელავენ და ვით გაუძლო მას მოლოზანმა..

ვით ჩაიკლას გულის თქმა—ეშხის ქარტეხილად ახივლებული.

ვით გაინელოს მოჭარმაგებული გრძნობის სისხლის დუღილი...

იგი ილურსება...

იბნიდება ჭარბ სურვილისგან..,

. აი..

მოითენთა.. მოიღვენა...

გატვრენილი მიესვენა მკერდზე..

მზე-ჭაბუკი რაღას დაახანებს .. რას დაერიდება?

ელვის სისწრაფით ჰხდ ს ტანისამოსს .. შავს ტანისამოსს..

აღსრულდა,..

გაჰხადა, გააშიშვლა ვითა დედაშობილა..

შენი გულისა, შენი!..

დახეთ მისს მშვენებას. მისს სინატივეს...

გინახნიათ მზის ოქროს მტვერში გახვეული ღელის შროშანი? .

სწორედ ისე აეშხებდა ელვარება მის ატლასის სხეულის ორ მწითურ ყვავილსა.

ორ შეღერებულს ძუძუს.

იგი დააკვდა სიყვარულით აფართქალებულს მკერდს..

ვარსკვლავები დადნენ.., მთლად დაილივნენ ეშხისაგან.-

ჰა, ჰა, ჰა, ჰა!.. —ბებრუხუნა, კბილებ ჩაცვინულ მთვარეს რაღა დამაროვნია...

თვით ვერ გააწყო რა . ვერ მოჰხიბლა მოლოზანი, თუმცა ნიადაგ მასთან იყო და ახლა შეჰშურდა მზე-ჭაბუკის ბედნიერება,.

გაყვითლდა, ღრიანკალს დაემგავსა, დაემსგავსა და ბრეშით მიიკარგა ნისლნეში.,

მზემ რომ გული იჯერა ტრფიალებით, მოიკლა ხოში, წამოასხა ნამოლოზნარს ვარსკვლავთა ციმციმით ნაქარი მერდინი და გაიტაცა ოქროს ბურჯისკენ... სიყვარულის შუშაბანდისკენ ..

მთელი ბუნება ღტაცებაში მოვიდა,..

ფოთლებმა ტაში დაუკრეს მზე ჭაბუკს.

ფრთოსნები მაყრიონად გარდაიქცნენ და ცაში კასკასით აიჭრნენ. . რომ ყველასთვის ეცნობებინათ მეფეთონის მოახლოვება...

. . . . . .

აი, რა ხდება ხოლმე გარიჟრაჟისას...

აი რისთვის მიყვარს შეხვედრა ამ ტრფიალების საიდულოებისა...

დ. თურდოსპირელი

ს ო ნ ე ტ ი

როცა ჰირველად შე შენ ენახე გაუტინარი,
შენი თვალები მაშინ რადაც უცნაურობდნენ.-
შიშა მიეურობდა, ისე კრთოდნენ, ისე ვოობდნენ.
და რა კარგი ეხლა ხარ, ტურფავ, ჰირ-მოტინარი!

შეთენებ სას, რომ ანათებს, მე შენ მახსოვხარ.
მზე რომ დასავალს მიეფარების, შენ მოგიგონებ
მუდამ ოფველთვის შენ მბრძანებლობ და შენ მიმონებ.
და კი არ ვიცი, თუ ვინა ხარ, სადაური ხარ?!

იწვის ხომლის მთა მომწეველი ცეცხლის რკალებში,
ევვილობს გული ანუდენელ თეორ სურვილებში.
და თავს მეფრქვევა შადრევანი ბროლის მძივებით.

უცხო მშვენებავ! ლოცვა ჩემი შენ გეწირება.
სიცოცხლის ნავი შენსკენ ილტვის, შენსკენ იხრება.
შენ კი რად მიმზერ ასე მძიმედ და გაკვირვებით?!

ნ. ზენნობიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს განთავისუფლების მოლვაწენი

1832 წ. ფარული საზოგადოება

(გაგრძელება. იხ. „თ. და ც“ № 12)

ყველა ეს ჩვენი მტრობა ქართველებმა კარგათ იგრძნეს. ეს გრძნობა მათ გულზე სიპი ქვასავით დააწვა. ყველა მათგანი შევიდა მის ძიებაში, რომ რუსეთმა დაპირება ვერ შეასრულა, ქართელებს დახმარების მაგიერ დაცემა, დანგრევა და განადგურებ უწყო.

გულდათუთქულნი, დავალიანებულნი და დაჩაგრულნი ქართველნი სწყევლიდნენ რუსების შემოსვლას, საქართველოს დაკავშირება რუსეთის იმპერიასთან მათ შერაცხეს ქართველი კაცის ოჯახის დამხობად.

ქართველნი ხშირად მოიგონებდნენ ხოლმე სოლომონ ლეონიძის ბრძნულს დარიგებას, და ნამეტურ პატრი ნიკოლას სიტყვებს: „ბარაბანი დაჰკრეს, საქართველო იმარხებაო.“

კიდევ უფრო მეტად იგონებდნენ იმ სიტყვებს, რომ თქვენი მამულები ვალში გაიყიდებაო. თბილისში როცა გაზეთები არ იბეჭდებოდა, როცა დავალიანებულთა მამულები უნდა გასყიდულიყო, თბილისის ქუჩებზე ორი ჯარის კაცი ჩამოივლიდა ბარაბანის ლაკვრით; ეს იმისი ნიშანი იყო, ამა და ამ ალაგას „ტორგია“ და მამულები ისყიდვბაო. ხშირად აქ რუსების და სომხის ვალში ქართველთ მემამულეთ ყმებიც ისყიდებოდა. დღითიდღე რაც დრო მიდიოდა, მით ქართველი კაცის ოჯახი და მთელი საქართველოც მეტად უწყალოდ ეცემოდა, ყველაფერს მცირდებოდა, ისპობოდა.

ეს უბედური, ეს ცეცხლწაკიდებული გარემოება, ქართველი კაცის ოჯახისა, ზოგიერთს ქართველთ 1820წლებიდან უკვე კარგათ შეიგნეს, მიეცნენ დუმილს წუხარებას ღა აქეთ იქით გოდებით ლაპარაკს: რაც დრო მიდის საქართველოში ქართველი კაცის ოჯახი უფრო და უფრო ეცემა, ბოლოს იქამდე მავალთ, რომ რუსების ხელში სულაც მოკისპობითო.

ასეთ უკმაყოფილო პირთა რიცხვი დღითი დღე მატულობდა. ყველა ეს ხდებოდა მისის წყალობით, რომ ქართველთა შვილებს აღზრდის საქმე რუსების სალდათების კალაპოტში მოთავსდა, ქართველნი განათლებას ვეღარ იღებდენ, განათლების ანუ სწავლის მაგიერ იგინი რუსულ კაზარმებში სწავლობდენ კარტის თამაშს, ტრახტინებში ბილიარდის თამაშს, ლოთობას და სხ. და ამისათვის აღებულ ვალებით იღუპებოდენ.

ამ გარემოებამ ქართველებს ავალები გამოუფშვნიტა. ქართველები სერიოზულად მიეცნენ ამის მოსაზრკა-გარკვევას და 1824 წ. შემდეგ მიეცნენ ფიქრს. თუ ამ მდგომარეობიდან როგორ ეხსნათ თავი. ასეთი პირები აღმოჩნდნენ, როგორც თავად-აზნაურებში, ისევე მოქალაქეებში სამღვდელო პირებში, გლეხებში და ქართველ ბერებშიაც, რასაც შემდეგ მოგითხრობთ.

ზ. ჭიჭინაძე

(გაგრძელება იქნება)

სოფლის ვითარება

(კერძო წერილებიდან)

ქვემორე მოყვანილი წერილები გამოგზავნილია კერძოდ, რედაქტორის სახელზე. წერილები ეკუთვნის სოფლის მოშინავე, ქართულ ჟურნალ-გაზეთების თანამშრომელს გლეხს მიტო სოღოლაშვილს. წერილები საზოგადო ხასიათს მოკლებული არ არის, დღევანდელი სოფლის სიმწვავე გულწრფელადაა ნიგ აღწერილი. იგი თითქმის საქართველოს ყოველი კუთხის სურათს, წარმოგვიდგენს. ამიტომაც ვბეჭდავთ მათ სრულიად შეუცვლელად.

რედ.

გამარჯობა, ძმაო იოსებ!

ჰმ!... როდი დაიჯერაბ, რომ თხრილებში ვატარებ ჩემ სიცოცხლის უკანასკნელ წუთებს!! 15 წელიწადი იქნება თოფ იარაღი არ ამიღია ხელში, ისე შემეჯავრა დანაკაკი არ ჩამიდვია ჯიბეში, ეხლაკი რო დ მინახო, „ზელიმხანი“ გეგონები, მერე რისთვ კაცო? განა რომელი მებატონურიცოდვა მიმიძღვის? განა მისთვის მენატრებოდა თავისუფლება სამშობლოსი? აი რა ყოფილა გლეხი! ის გლეხი, გისთვისაც ამოტელა ჭირის უფლები სტიროდნენ და ამოტელა მევაჭეები იღლებიან ჩვენი ჩარხის წაღმა გადატრიალებისათვის. აი რა ქნეს წვრილფეხა იდეალისტებმა, რომლების რახა-რუხიც სოფლებში კორიანტელს აყენებდა თაფლით გათხუპნულ საწვნის ტარს რომ დაასხდენ ბუზებივით, ზედ დაეძინათ, სოფლათკი გაიზარდა პრავაკაცია და ავაზაკთა ბრბოები, იხელთეს დრო შემთხვევა და მომესიენენ.

განა კვლავ არ მივდიოდი მათ წინააღმ. პრესაში გამომქღავნებით თუ სხვ. ამ დღეში არ ჩაუგდივარყე, მაგრამ ეხლა მიტომ, რომ უკვე გითხარი საწვნის ტარზე დაეძინათ ჩვენი სოფლის ადმინისტრატიულ მმართველ წვრილფეხა იდეალისტებს.

ჩემი სასიკვდილეთ დევნა იწყება ჩემის წერილის შემდეგ (იხ. „სახალხო საქმე“ №243- 29 მაისი). ამ ღღეებში მათ მოუკლეს ერთი ამხანაგთაგანი, ცნობილი „ბაღო“ რომლის სიკვდილსაც აწერენ ჩემს გავლენას, ე. ი. ჩემგან მოწყობილს, და ეხლაკი მწვავე იერში მოაქ. და გადაწყვეტილი აქვთ დედამიწის პირიდან აგვფახიკონ ცოლშვილით ერთი სამიოდ ოთხიოდ კაცი. ერთიც მოჰკლეს შუადღისას ხალხით სავსე ქუჩაზედ.

ჩემს სიკვდილს ძალიან ეშურებიან, თავზარი დამიცეს შვილებს, მინდორში ვეღარ გამიდგამს ფეხი და თუ პატარა რამ ცოლშვილი საზრდო (ძნა) მაბადია ისიც ისევ მინდორში ყრია, სჭაშს ძაღლი და ღორი. ამიტომ ვერც მანდ მოვდივარ, მაგრამ ვერც არას აქ ვაკეთებ. გამოფთხვნილი ბავშვები წამოვიდნენ ბანდ თბილისში, და თუ რამ და ვისიმე სათანადო პირთან დახმარება შეგეძლოს და გაფანტულ ძალებიდან მოეპოებათ რაიმე კიდევ ძალა ჩემს დასახმარებლად, დეხმარე ეგები შეეძლოთ გადამარჩინონ, მომეშველნენ როგორმე, მე სიცოცხლე ისედაც შემძაგდა მაგრამ რა უნ. რომ ბავშვები შუა წყალში მრჩებიან!

ჰმ!... აი, ძმაო. პარლამეტის ხალხი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

აი ვისთვის გვდომებია პარლამეტი...

აი ვინ გამოიყენა რევოლიუცია...

ჩვენი გლეხი ისე გამოუპარტახებია ძველ დესპოტს, ისე ამოუმაწაწურებია მისი ტვინი, რომ თვალები მისკენვე რჩება, კარგი „ტერმომეტრი" უნდა, რომ გლეხის სიღრმეს ჩაუწვდეს და ამოჰკაფოს ის ჭირი, რაც ათას წლობით ჩაუზიდნია მასში ძველ დესპოტს, ჩვენკი გვეგონა ყველამ ვიცოდით. ამას იქით სხვისი თვალით გაზომილს არას დაგიჯერებ თუგინდ ფილოსოფოსიც იყოს. არა მჯერა და არა... გლეხი ის არის, რაც მე ვიცი, მაგრამ დრო და კალამსკი არ შეუძლიან ეხლავე შეეხოს მის პროცესს.

საბრალოა გლეხი, მაგრამ მასზედ ძლიერ საბრალოა მათი მუშა მათი გულშემატკივარი.

ჰმ!.. გლეხი!.. თურმე ძვლებშიც-კი ჩახდომია გლეხს დესპორტი, ექიმები-კი მხოლოდ გარეგან ხორცის შესხმაზედ ფიქრობდნენ და ზმაგნავდენ. საკირეში ჩასაწვავ დესპოტისაგან დაავათმყოფებულ შეპყრობილი გლეხი, ექიმსაც სამარისკენ მიათრევს. გლეხში ძალას უბადნია სიყვარული, რა მიმართულებისაც უნდა იყოს. ესმანაღარცის. აი ძმაო ბინდმამისწრო. სახლში ლამფას ვერ ავინთებ, გავდივარ, ამაღამ ვიწანწალებ სიღნაღში კამისარიატში ჩავალ...

ასე ძმაო, თუ ღმერთმა ჰქნა. გადურჩი ამ იერიშს და უკანასკნელი არ გამოდგა შენთან ეს ჩემი წერილი, შემდეგისათვის მასალით სავსე გამოგადგები თქვენც და სხვასაც, ოღონც ვეღირსო იმ დროს...

—

კვლავ და კვლავ, გამარჯობა ძმაო იოსებ!

იწყობა ახალი ხანა ჩემი ცხოვრებისა... თუ სიცოცხლისა?... მგონი უფრო უკანასკნელი ითქვას. გუშინ ჩემსას სალხში მოვიდნენ ჩკენს მხარეს მთავრობისაგან გამოგზავნილი შეიარაღებულ მატარებლის უფროსი გოგუაძე, დათიკო ჭანტათელი და სხვები; მათს ცოცხალ წინადადებითი ხასიათის მიმართულრამოდენიმე მეთაურ ვაჟ-ბატონებისადმი, ს ტყვებში ვპოვე ადგილი, სადაც უნდა მომეთავსებინა ჩემი სიცოცხლის უზრუნველ-ყოფის იმედი და მეტი გამწვავების წინააღმდეგ მე თვითვე წავედი. შეიძლება წავაგე, მაგრამ ადამიანობა-კი ამას მოითხოვს, მეტადრე ჩემი გარემოების... მაგრამ ვინ იცის ხანგრძლივი იქნება ჩვენთვის გოგუაძის ხანა?... დღეს ბუზებიც-კი გვპირდებიან კბენაზე ხელის აღებას, მაგრამ ბუზი და კბენაზედ ხელის აღება?.. დროს უცდიან. „საწუთრო კაცსა ყოველსა ვითა ტაროსი უხდებისო ..." ვაი თუ დღეს გამომეშუქა ხვალ ჩამობნელდეს.

ამისთანა ხალხი მართლაცდა ბუზებივით არიან დრონს უცდიან და აიშლებიან ხოლმე, მიტომაა სასურველი ამ მხარეს მისი (გოგუაძის) პატარახანს მაინც დარჩენა და ჩვენი ცხოვრების კალაპოტში ჩაყენება, უამისოთ რაღაც კატასტროფიული გამომეტყველობაც კი მოსჩანს ხალხში. აი სწორედ ამისთანა ლოღიკური პრაკტიკანტი სარდლებია საჭირო ჩვენი ამოწოვილ-გათახსირებულ ხალხისთვის, „შიში შეიქმს სიყვარულსო."

იმას რა სჯობს, კაცო, შუბლი ბნელი, ოღონც გული ნათელი, უამისოთ ცხოვრების უხილავ კლდეებისაკენ მიიმტვრევს ჩვენი გათახსირებული გლეხი თავ-პირს. ამასვე ამტკიცებს მშობლიური პრაკტიკა და იშვიათად იქნება თავისუფალმა ბავშვმა კლდეში არ გადიმტვრიოს თავ-პირი და ჩვენი გლეხობაც ამას წააგავს სულ მცირე გამონაკლისს გარდა. ვის ეგონა თუ გლეხი ასეთი გამოდგებოდა? ჩაიგდეს თოფები ხელში და დაერივნენ ერთმანეთს ბავშვებივით, უჭირებენ საქმეს იმას, ვინც მათს ცხოვრებას უდგია სათავეში დაუკადებს, აიღე თუ გინდ უბრალოდ მაგალითად ჩვენი სოფელი; სწორედ ისინი ვართ სასიკვდილეთ მიზანში ამოღებული, ვინც უფას-პატიოთ სათავეში უდგივართ და ავათ თუ კარგათ უძღვებით მათ კოოპერატივს. აი ჩვენი ჯილდო! ცეცხლს უფრო ცეცხლს უკეთებენ და არწმუნებენ მთავრობის სისუსტეში ის ვაჟ-ბატონები პროვაკატორები, რომლებიც ცარიელ ჩანგლებისღა დაატლაკუნებენ და ვეღარსად ნადირობენ.

აი ასეთი წინ წაუხედავ მიუხედრელი გახდა ხალხი, ისიც-კი მართალია რომ სხვადასხვა მიმართულების პრაპაგანდამ სრულად ასჭრა ჩალხი, მაგრამ თუ ასე დაიბნეოდნენ და ზნეობრივ კალაპოტიდანაც-კი გადასცვიოდნენ მე არ მეგონა; ახლა-კი სულ სხვა ჟურა პროპაგანდაა სოფლად საჭირო. აი ამისთანა ზღვაში რომ ცოცხალი გაიტანონ გემი ჩვენმა მესაჭეებმა, ეს იქნება კიდევ ერთი მოფლიოში თითით საჩვენებელი ნაბიჯი ქართველ გენიოსობისა.—

და ნეტავი მას, ვინკ ამ მემკვიდრეობას დაიმტკიცებს. ჩვენ-კი ვუსურვებთ სიმთხვეს.

ჰმ! .. კარგი [illegible]ადნე მოენეკი უნდა ჩვენს ცხოვრებსაო! ვინ იცის [illegible]ას გვეუბნება, და ჩვენ-კი როგორ გვესმის მისი ენა?.. „კაცი ბჭობდა ღმერთი იცინოდაო" ამისთანებზედ უთქვავთ ჩვენს გენიოსებს. ჩვენ სხვას ვფიქრობთ, ცხოვრება სხვას და ხშირად წინააღმდეგს გვიმტკიცებს ხოლმე. უბრალოდ მაგალითად მაგონდება კარიკატურაში რომ თოფები გარინგათ იყო გაღებული და ზედ ჩიტები ჩამწკრივებული, დღეს-კი ცხოვრებამ სულ წინააღმდეგი წამოშლა და ჩიტებიც შეიარაღებული უნდა იხატებოდენ კარიკატურაში. ნეტავი მას, ვინც ამ მეწყერათ მომძვრალ ცხოვრების ტალღებს გადაურჩება! ნეტავი თუ ჩვენი მესაჭეები ამას შესძლებდნენ... მაგრამ რაა, კაცო, ხალხი შველის მაგიერ, პირიქით ხელს უშლით და ამისთანა ძალებს აქ ვაბანდებთ, თუმცა მეტი წილი გარეული პრავაკატორობის ნაყოფია, ღრმად უნდა ჩახედვა!.. რას ვიზამთ ჭირს გაძლება უნდა და ყოველს ნაბიჯზედ ჯაკარდასავით შუბლზედ უნდა გვეკეროს ჩვენი გენიოსების გამამხნევებელი უკანასკნელ სამარის პირამდე სიტყვები: ჭირსა შინა გამაგრება .. გამხნევდი, ბედს ნუ ემონვი... და სხვა.

მშვიდობით, ძმაო. მარადის—შენი გულწრფელი მოსიყვარულე მეგობარი **დ. სოლოლაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

შანტაჟი თეატრში

არის ვინმე ,,მსახიობი'' დ. კობახიძე, რომელიც მსახიობის გარდა ყველაფერსა ჰგავს. დ-დის მისგან ისედაც თავ მობეზრებული სამტრედიისა და სხვა რაიონებში და სდგავს პიესებს; თუმცა კარგებს, მაგრამ თავისებურად გადამახინჯებულს. და როდესაც შეეკითხები, თუ რატომ სჩადის ამას, ის გიპასუხებთ მანჭვაგრეხით: მე ყმაწვილო პროფესიონალი გახლავარ და ნუ მიშლით, ჰმ! რას ვამბობდი? ჰო, მე არტისტი გახლავარ და შემიძლიან კიდეც ავტორის მაგივრადაც მოეაწერო ჩემი გვარი. არ გაგეკინოთ, მკითხველო, და ეს კი ნამდვილად ასეა.

სახელს არ იკითხავთ, თუ რა დაურქმევია დასისთვის? „სცენის მსახურთა მოგზაური პროლეტარული დასი, სახელწოდებით: „დემოსი''

სიტყვით პროლეტარიატისთვის თავდადებული და საქმითკი ძირის მთხრელი.

როგორც გავიგე იმ პიესათა ავტორიც-კი მოუწვევიათ საგანგებოთ, რომლის პიესებიც გადაუწყვეტიათ და სდგავენ (ს. ერთაწმინდელისა). მაგრამ რა დარწმუნ ბულა მათ ფუქსავატობაში პატივცემული მწერალი, ისევ გაბრუნებულა და მეორე დღეს დასიც დაშლილა.

როგორც სარწმუნოდ გადმომცა ერთმა მისმა ყოფილმა დასელმა დასის წევრებს განცხადებაც-კი შეუტანიათ იმ პარტიის ბიუროში, რომლის სახელითაც გამოდიოდა ხსენებული ფანტაზიორთა ჯგუფი. უჩივიან, აღარ გაბედოს კობახიძემ ,,დემოსის'' სახელით გამოსვლა. კარგი იქნებოდა, რომ ყურადღებას მიაქცევდეს ვისგანაც ჯერ არს ამ ვაუბატონის აღვირ ახსნილობას; უფრო-კი მსახიობთა კავშირი.

ვინ-დონი.

შარადა

უპირველესად ყოვლისა გვჭირდება ერთი სახელი,
თუმცა ყველას გვაქვს, ვერ ვხედავთ, სხვისის ბევრის
ვართ მნახველი.
ზოგს ადიდებენ იმითი, ზოგს აძაგებენ ძრიელა.
ვისაც არა აქვს საქები, ის ღმერთმა გაატიელა.
იგი სახელი შარადას დაუდვათ საფუძველადა.
სხვებიც მოვნახოთ შეკრიბოთ როგორც გვიქნია
ძველადა.
აწ მომინახეთ სახელი ავეჯის ძვლებურისა,
ყველას გვჭირდება იჯრის დროს დასაწყობადა პურისა.
შემოუსხდებით გარშემო მაზედ დავაწყობთ საჭმელებს,
თუ გვეშოვება არ ვზოგავთ შემოვაყოლებთ სასმელებს.
სამი ანბანი წინიდან გადადეთ შარადისთვისა,
ორს ნუ დაეძებთ უკანას; თავს ნუ იწუხებთ მისთვისა.
ეხლა გვჭირია სახელი ასპინძის ომის გმირისა.
კოხტა-ბელადსა გაჰკვეთავს განთქმული ხმალი იმისა.
თუმცა გმირია თან მეფეც, ნუ გეშინიათ ქართველის
სთხოვეთ დაუთმოს შარადას ბოლო მარცვალი სახელის.
ერთიც მონახეთ საგანი თავქვეშ რომ იდებთ ღამითა.
წინა მარცვალი მომეცით და გავათაოთ ამითა.

შძერელი—ფილია.

მეოჯახე დედას

(ელბიტა ექვთიმეს ასულს ფარჯანაძის ხსოვნას).

როდესაც ჩვენსა სამშობლოს გარს მოსდებია გენია,
დედა ნამდვილი ვრა სჩანს მამულს შესწიროს დღენია;
გაზრდიან შვილები, ვაჟკაცობისა მჩენია, —
ამ დროს გაგვიქრა ხელშია ოჯახის ბურჯი ქებული,
მამულისათვის მზრუნველი, მისთვის თავგამოდებული,
ვაჟმა, წეველმა სიკვდილმა გეძინა უცებ ჩანელებული.
ტკბილი სიტყვა ხელ წაგერთვა, შვილები დაგრჩნენ
ობლათა.
შენი მშობელური ამაგი დარჩება ამა სოფლათა;
მეობანი მოგიგონებენ, ბნელში მნათობელ სანთელსა
ანგელოზთ გუნდი გიგალობ მოგიფენს ციურ ნათელსა
სულსა წარგზავნის ედემში დასტკბი იადონთ მღერითა
და მეც შეგიმკობ სამარეს ჩემის ჩონგურის ყღერითა!

ტარასი ბარეულელი.

შემოწირულობა

ეურ. „თეატრი და ცხოვრების'' სასარგებლოდ შემოსწირეს

1) დათიკო იამორის ძე კალანდაძემ	300 მან.
2) ტ. ფარჯანაძემ	30 მან.
3) ნიკ. დავ. ბატარაიამ	5 მან.
4) კონსტ ტერტვაძემ	5 მან.

შემოწირველთ უღრმეს მადლობას ვუძღვნით.

რედ

ხელოვანი მსაღვარი

დიანოზ კიკნაველიძე.

ადიდებს ფოტოგრაფიულს სურათებს და ასრულებს ეოველგვლეგვარ მხატვრულ საქმეს.—ამზადებს საუცხოოდ, ფასიზად და დროზე. მისამართი: ქ. თბილისში — სამოველნი ქ. №1, ყვირილაში —ფოსტის ქ. ბეგლარ გვენტაძის სახლში.

ყველასთვის საჭირო და სასარგებლო წიგნი
(ოცდა ხუთი წლის ნაშრომი)

უცხო სტყვათა ლექსიკონი

შედგენილი იოსებ იმედაშვილის მიერ, მეორე შევსებულ-შესწორებული გამოცემა, გამოვიდა. შეიცავს 1112 სვ. ხელის მომწერთათვის, საუკეთესო ფასით —20 მან., უფასოთ —15 მან. (წინად შემოტანილის გამორიცხვით). ბაზარზე ფასი—30 მ., უფასოთ 25 მ. საწყობი: თბ ლისი, ბაზრის ქ. ნომერი 20, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, რედაქცია „თეატრი და ცხოვრება"

რედაქტორ-გამომცემელი **იოსებ იმედაშვილი**